



საჩუქრისმადლობის წერილი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

13 აგვისტო, 2019 წელი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს,

ქალბატონ ნათელა თურნავას

ქალბატონო ნათელა,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	3
1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	8
3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	13
საკონტაქტო ინფორმაცია	17

ტერმინები და შემოკლებები

ავიაციის სააგენტო – სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;

აკრედიტაციის ცენტრი – სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი;

აღრიცხვის ინსტრუქცია – საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

„აწარმოე საქართველოში“ – სსიპ – „აწარმოე საქართველოში“;

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ინოვაციების სააგენტო – სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;

მეტროლოგიის სააგენტო – სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;

ნავთობისა და გაზის სააგენტო – სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო;

„ოუფენ ნეტი“ – ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტი“;

საზღვაო აკადემია – სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო – სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი;

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო – სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო;

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო – სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო;

ტურიზმის ადმინისტრაცია – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;

ქონების ეროვნული სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

წიაღის სააგენტო – სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო;

ჰიდროგრაფიული სამსახური – სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 აქციები და სხვა კაპიტალი/საინვესტიციო ქონება

გამოვლენილი გარემოება:

ქონების ეროვნული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული:

- ⌋ სააგენტოს მიერ 2016-2018 წლებში სხვადასხვა საწარმოებში ჯამურად 255,608,079 ლარი ღირებულების ქონებრივი და წილობრივი შენატანები;
- ⌋ 2018 წელს პრივატიზებული 104,404,225 ლარის ქონება და საინვესტიციო ქონება, რომლის იჯარიდან მიღებულმა შემოსავალმა 2018 წელს 4,475,058 ლარი შეადგინა.

აღნიშნული აქტივები არსებითია არა მარტო ქონების ეროვნული სააგენტოს, არამედ ეკონომიკის სამინისტროს და შესაძლოა სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზეც.

რეკომენდაცია N1.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის¹ შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

1.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოება:

2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 4,649,947 ლარის მოთხოვნებისა და 1,945,361 ლარის ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება. ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების 99% წარმოშობილია 1997-2007 წლებში, სხვადასხვა სამინისტროს გაერთიანების შედეგად.

გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ სხვადასხვა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში ფიქსირდება ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ფინანსურ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კერძოდ:

- ⌋ ნავთობისა და გაზის სააგენტო: ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს 583,558 ლარის მოთხოვნები, რომელიც შედგება 2004-2007 წლებში ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებისაგან. აღსანიშნავია, რომ დებიტორების ნაწილი (512,249 ლარი) არ აღიარებს დავალიანებას. ამასთანავე, უმსხვილეს დებიტორზე, სს „საქეოსერვისზე“ (495,619

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება.

ლარი), მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება) საქმისწარმოება.

ქ) წიადის ეროვნული სააგენტო: ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 1,010,974 ლარის მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია 2011-2013 წლებში. აღნიშნული მოთხოვნების უდიდეს ნაწილზე (923,824 ლარის მოთხოვნები) წიადის სააგენტოს 2013 წელს მოგებული აქვს სასამართლო დავები, რის საფუძველზეც მიმდინარეობს აღსრულების პროცესები, თუმცა შესაბამისი თანხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული არ არის.

კ) ჰიდროგრაფიის სამსახური: სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილების² საფუძველზე, შპს „ჰაიგმასტერს“ დაეკისრა ჰიდროგრაფიის სამსახურის სასარგებლოდ 430,252 ლარის ოდენობის ზარალის ანაზღაურება. 2010 წლის სააღსრულებო ფურცლის³ შესაბამისად დაიწყო აღსრულების პროცესი, თუმცა აღნიშნული თანხა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ კიდევ გადაუხდელია.

მისაღები თანხების ჯამური მოცულობა (6,674,731 ლარი) და მათი წარმოშობის პერიოდი მიუთითებს, რომ სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეულები ვერ უზრუნველყოფენ პრობლემურ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით სათანადო და დროული ღონისძიებების გატარებას, რაც ზრდის მოთხოვნებთან დაკავშირებული აქტივების დაკარგვის რისკს.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივნისში სამინისტროს აპარატმა ჩაატარა ფულადი სახსრების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და მიღებული შედეგები წარუდგინა ხელმძღვანელობას შემდგომი რეაგირებისთვის.

რეკომენდაცია N2.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშეძარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტრომ იმსჯელოს კონკრეტულ დებიტორთან დაკავშირებით სასამართლო დავის დაწყების და სხვა სამართლებრივი გზების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

1.3 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება:

ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე არ აქვს აღრიცხული შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსათვის“ გადაცემული 747,886 ლარის ღირებულების შენობა,⁴ რომელსაც სააგენტო დღემდე უწყვეტად და უსასყიდლოდ იყენებს საკუთარი საქმიანობისთვის.

² ფოთის საქალაქო სასამართლო საქმე N 2/316, 18/01/2009.

³ სააღსრულებო ფურცელი N 2/316-08, 17/09/2010.

⁴ თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N49^ა.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის⁵ მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ძირითადი აქტივი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ქონების ეროვნული სააგენტოს და არა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ აქტივს.

შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები 747,886 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N3.

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთვის“ გადაცემული შენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებდა ქონების ეროვნული სააგენტოს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, რეკომენდებულია, სააგენტომ აღნიშნული შენობა ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ძირითადი საშუალება.

გამოვლენილი გარემოება:

სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 2,083,754 ლარის ღირებულების 513.3 კვ.მ შენობა-ნაგებობა⁶ და მასზე დამაგრებული 982 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.22.02.005), რომელიც საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სარგებლობაში გადმოეცა 2011 წელს 2 წლის ვადით.⁷ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ სარგებლობის უფლება არ გაგრძელებულა და შენობა გასხვისდა. შესაბამისად, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები 2,083,754 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N4.

სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გასხვისებული აქტივი უნდა ჩამოიწეროს ფინანსური ანგარიშგებიდან. ამასთანავე, დაკორექტირდეს ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი.

გამოვლენილი გარემოება:

საზღვაო აკადემიის საკუთრებაშია ქ. ბათუმში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – 2,821 კვ.მ და მასზედ მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით – 3,267.74 კვ.მ. აღნიშნული აქტივები ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში წარდგენილია მხოლოდ შენობაზე გაწეული კაპიტალიზირებული ხარჯის ღირებულებით – 333,211 ლარით.

შესაბამისად, აღნიშნული თანხა უტყუარად და სამართლიანად ვერ ასახავს შენობა-ნაგებობისა და მიწის ღირებულებას.

⁵ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 25, პუნქტი „გ“.

⁶ მდებარე ქ. ბათუმში, ნინოშვილის N 23-ში.

⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის ბრძანება N153.

რეკომენდაცია N5 სსიპ –
სასწავლო უნივერსიტეტი –
ბათუმის საზღვაო აკადემიას

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნებიდან გამომდინარე, საზღვაო აკადემიამ შეაფასოს საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი რეალური ღირებულებით და შესაბამისად ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

გამოვლენილი გარემოება:

აკრედიტაციის ცენტრის ბალანსზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 178,503 ლარის ძირითადი აქტივები. ორგანიზაცია ყველა ძირითად საშუალებას (გარდა შენობისა) ცვეთას არიცხავს 20%-იანი განაკვეთით, რაც არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით⁸ განსაზღვრულ ცვეთის ნორმებს.

ამასთანავე, ცენტრს არ გააჩნია ძირითადი საშუალებების ანალიზური აღრიცხვის ჟურნალი, სადაც მითითებული იქნებოდა ძირითადი აქტივის ისტორიული ღირებულება, შემენა-მიღებისა და გაცემა-ჩამოწერის თარიღები.

ანალიზური აღრიცხვის არასრულყოფილად წარმოების გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო შესაბამისი ნორმების გამოყენებით ცვეთის ხარჯის ხელახალი გადათვლა და ცდომილების ეფექტის დადგენა.

შესაბამისად, ჩვენ ვერ გამოვთქვით მოსაზრება აღნიშნული მუხლის (ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 178,503 ლარი) სისწორესა და სიზუსტესთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N6.

სსიპ – აკრედიტაციის
ერთიანი ეროვნული ორგანო
– აკრედიტაციის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აკრედიტაციის ცენტრმა ხელახლა გადათვალოს 2018 წლის და წინა წლების ცვეთის ხარჯი ბრძანებით⁹ დადგენილი ნორმების გამოყენებით და დააკორექტიროს ძირითადი აქტივების 2018 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები, ასევე 2018 წლის ცვეთის ხარჯი.

გამოვლენილი გარემოება:

სსიპ-ის – „აწარმოე საქართველოში“ და ტურიზმის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება, შესაბამისად, 85,246 ლარის და 210,167 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები,¹⁰ რომლებიც მორალურად მოძველებულია და აღარ გამოიყენება. აღნიშნული აქტივები აღრიცხვის ინსტრუქციის¹¹ მიხედვით ვერ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

რეკომენდაცია N7. სსიპ – ს
„აწარმოე საქართველოში“
და ტურიზმის ეროვნულ
ადმინისტრაციას

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენისათვის, აუცილებელია, სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მოახდინონ ისეთი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და განახორციელონ შემდგომი ქმედებები აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად.

⁸ ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანება.

⁹ ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანება.

¹⁰ არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საქართველოს საიმიჯო ვიდეორგოლებს.

¹¹ აღრიცხვის ინსტრუქცია მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 პირგასამტეხლო

გამოვლენილი გარემოება:

ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა¹² პრივატიზებული და მართვის უფლებით გადაცემული აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და შესაბამისი ხელშეკრულებების მონიტორინგი. კერძოდ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე დაკისრებული გადასახდელების/პირგასამტეხლოს აღრიცხვისა და ამოღების კონტროლი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო, დაახლოებით, 48,300,000 ლარს და 49,700,000 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს 80% წარმოშობილია 2006-2014 წლებში დადებული ხელშეკრულებებიდან და არ არის ასახული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პირგასამტეხლოების მისაღებად განხორციელებული ღონისძიებების შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 10 (ათი) კონტრაქტორი. ორგანიზაციამ ვერ წარმოგვიდგინა მტკიცებულებები აღნიშნული კონტრაქტორებისგან თანხების მიღებისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე, ვერ მივიღეთ დასაბუთება, თუ რატომ არ განხორციელდა შესაბამისი ქმედებები და აქვს თუ არა სააგენტოს შემუშავებული სამომავლო სტრატეგია, აღნიშნული თანხების მონიტორინგთან და მართვასთან დაკავშირებით.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც თანხების არსებობის, ასევე მათი შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, პირგასამტეხლოები წარმოშობილია სახელმწიფო ქონების პრივატიზების/მართვის უფლებით გადაცემის შედეგად მესამე პირების მიერ აღებული გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ვინაიდან აღნიშნული საკითხი, ერთი მხრივ, უკავშირდება ბიუჯეტში მისამართ თანხებს¹³ და მეორე მხრივ, ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს, მნიშვნელოვანია ისეთი კონტროლის მექანიზმების არსებობა, რომლებიც დაბალანსებულად უზრუნველყოფენ როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებას.¹⁴

რეკომენდაცია N8. სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

მისაღები პირგასამტეხლოების აღრიცხვიანობისა და შესაბამისი თანხების დროულად ამოღებისათვის, ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრივატიზებისა და აქტივების მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებების ეფექტიან მონიტორინგს. მნიშვნელოვანია შემუშავდეს ისეთი სტრატეგია, რომელშიც დაბალანსებულად იქნება გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესები.

¹² საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება N 391, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

¹³ აღსანიშნავია, რომ მისაღები თანხები მთლიანად მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

¹⁴ აღსანიშნავია, რომ ამ აუდიტის საგანი არ ყოფილა თითოეული ხელშეკრულების შინაარსის შესწავლა.

2.2 „აწარმოე საქართველოში“ – სუბსიდიები

გამოვლენილი გარემოება:

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა

საქართველოს მთავრობის დადგენილებების¹⁵ საფუძველზე სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 4 კომპანიასთან.¹⁶ კონტრაქტორები უშუალოდ ახორციელებენ პროგრამის იმპლემენტაციას, გასცემენ რეკომენდაციებს ორგანიზაციის მიერ პროგრამის ბენეფიციარ(ებ)ის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით და ახდენენ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგს.

კონტრაქტორი „აწარმოე საქართველოს“ აწვდის ინფორმაციას შერჩეული კანდიდატების შესახებ, რის შემდეგაც სსიპ იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ. დაფინანსების შემთხვევაში ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება,¹⁷ რომლის მიხედვით, ორგანიზაცია უფლებამოსილია უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.

მთავრობის დადგენილებით¹⁸ და კონტრაქტორ კომპანიებსა და სსიპ-ს – „აწარმოე საქართველოში“, შორის გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁹ მიხედვით, კონტრაქტორი ვალდებულია „აწარმოე საქართველოს“ წარმოდგინოს ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული და საბოლოო ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშები არ შეიცავს საკმარისად დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ: არ არის იდენტიფიცირებული უმოქმედო საწარმოები, არ არის დასახელებული უმოქმედო ბენეფიციარებზე გაცემული სუბსიდიის ოდენობა, არ არის ინფორმაცია უმოქმედობის მიზეზების შესახებ.

სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონტრაქტორებისგან და პროგრამის კონტროლისათვის იყენებს თავისივე შექმნილ ვებგვერდს. აღნიშნულ ვებგვერდზე კონტრაქტორები ტვირთავენ ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, საბოლოო მონიტორინგის აქტებს, რომლითაც ფასდება ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კონტრაქტორების მიერ სისტემაში არ არის ატვირთული ზემოხსენებული აქტები. შესაბამისად, სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ვერ ფლობს სრულ და სანდო ინფორმაციას ბენეფიციარების შესახებ, რაც მიუთითებს კონტროლის სისუსტეზე.

გარდა ამისა, კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილ საბოლოო მონიტორინგის აქტებში ასახული ინფორმაცია ეყრდნობა მხოლოდ ბენეფიციარების გამოკითხვას, რაც არ შეიძლება იყოს მიჩნეული საკმარის და სარწმუნო წყაროდ. ამასთანავე, ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილი კონტროლის გარემოს შექმნას. შესაბამისად, შესაძლოა ვერ განხორციელდეს გაცემული თანხების მიზნობრიობის

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

¹⁶ შპს თბილისის ბიზნესტრენინგის ცენტრი, ა(ა)იპ – რეგიონული განვითარების ასოციაცია, ა(ა)იპ – საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია – „საქართველოს სკაუტები“, შპს „ჯი ემ სი ჯი“.

¹⁷ ხელშეკრულების მუხლი 3.4 პუნქტი 3.4.2.

¹⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ – სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, მუხლი 12, „თ“ პუნქტი.

¹⁹ ხელშეკრულების მუხლი 4, პუნქტი 4.8.

**რეკომენდაცია N9. სსიპ -
აწარმოე საქართველოში-ს**

სრულყოფილი კონტროლი, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება და მათზე დროული და სათანადო რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდი, რომელზეც ატვირთულია მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად გაცემული სუბსიდიების შესახებ სრული ინფორმაცია, არ არის დაცული ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები. შესაბამისად, მაღალი რისკის ქვეშ დგას როგორც ორგანიზაციის იმ საოპერაციო საქმიანობის ნაწილი, რაც დამოკიდებულია ვებგვერდის გამართულად ფუნქციონირებაზე, ასევე აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში გაცემული თანხების მიზნობრიობის მონიტორინგს.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის მიზნების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საჭიროა კონტრაქტორების მიერ სრულყოფილად იქნეს მოწოდებული პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები, ხოლო სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“, თავის მხრივ, განახორციელოს კონტრაქტორი კომპანიების მიერ მოწოდებულ ანგარიშებში არსებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა, სისრულისა და სისწორის დადგენა (მათ შორის, პრობლემური ბენეფიციარის შესახებ). რის შემდეგაც გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით იმოქმედებს ხელშეკრულებების და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ საჭიროა დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

გამოვლენილი გარემოება:

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება

სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის²⁰ ფარგლებში, სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებას, არა უმეტეს 10%-ისა.

დაფინანსების შემთხვევაში ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ბენეფიციარის მიერ შესასრულებელ პირობებს. აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ორგანიზაცია უფლებამოსილია უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მხრიდან ხელშეკრულებების პირობების შესრულების მონიტორინგი არ განხორციელებულა.

ორგანიზაციის განმარტებით, კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბენეფიციარების მიმართ გატარებული მონიტორინგის ღონისძიებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ არ მონაწილეობს აღნიშნულ მონიტორინგში.

ასევე, 2018 წლის ბოლოს ორგანიზაციის დაკვეთით შპს „ბიდიომ“ ჩატარა პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ტექნიკური მხარდაჭერისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების კვლევა. თუმცა,

²⁰ პროგრამის აღნიშნული ნაწილი მოიცავს საკვები პროდუქტების წარმოებას, არაალკოჰოლური სასმელების წარმოებას, ქიმიურ და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის დარგებს და ა.შ. დეტალური ინფორმაცია დაფინანსებას დაქვემდებარებული ინდუსტრიების შესახებ მოცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილებაში №365 – „აწარმოე საქართველოში“ – სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

აღნიშნული კვლევა არ მოიცავს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგის ელემენტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კონტროლის სრულყოფილი მექანიზმები.

აქედან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ ორგანიზაციამ ვერ შეძლოს ბენეფიციარების მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის აღმოჩენა და დარღვევაზე დროული რეაგირება. შედეგად, იზრდება პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხების არამიზნობრივად განკარგვის რისკი.

რეკომენდაცია N10. სსიპ-ს – „აწარმოე საქართველოში“

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული თანხების არამიზნობრივად განკარგვის რისკის შესამცირებლად, სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ბენეფიციარის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას.

2.3 ბუღალტრული აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოება:

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში არ გამოიყენება სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს. აკრედიტაციის ცენტრი ბუღალტერიას აწარმოებს სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაში, თუმცა ეს აღრიცხვა არასრულყოფილი და არაზუსტია, კერძოდ, საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს.

რეკომენდაცია N11. სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და სსიპ – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების და ბუღალტრული საკმიაზობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ხელმძღვანელობამ დანერგოს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, ხოლო აკრედიტაციის ცენტრმა სრულყოფილად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

2.4 ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოება:

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის. ინვენტარიზაცია ასევე ზრდის აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ზოგიერთ უწყებაში, მაგალითად: სსიპ-ში – „აწარმოე საქართველოში“, ინოვაციების სააგენტოსა და საზღვაო აკადემიაში 2018 წელს არ ჩატარებულა სავალდებულო²¹ ინვენტარიზაცია.

ინვენტარიზაცია ხარვეზებით ჩატარდა შემდეგ ორგანიზაციებში: „ოუფენ ნეტში“, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, ნავთობისა და გაზის სააგენტოში, ავიაციის სააგენტოში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში, სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოსა და ქონების ეროვნულ სააგენტოში.

რეკომენდაცია N12. სსიპ-ს – „აწარმოე საქართველოში“, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას, ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტს“, სსიპ – ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, სსიპ – ნავთობისა და გაზის სააგენტოს, სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

2.5 სააღრიცხვო პოლიტიკა

გამოვლენილი გარემოება:

ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით²² განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების²³ აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალებს, მოძველებულ მატერიალურ ფასეულობებს, ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯებს და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებობა უზრუნველყოფს ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობას.

რეკომენდაცია N13. საქართველოს ეკონომიკისა

ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესაძარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ

²¹ ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605.

²² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 12.

²³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 13, პუნქტი 8.

და მდგრადი განვითარების
სამინისტროს

და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებითაც ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1. (2017 წ.)
საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტროს, სსიპ –
სახელმწიფო ქონების
ეროვნულ სააგენტოს

სახელმწიფო დონეზე საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

შესრულების მდგომარეობა:
შეუსრულებელი

**რეკომენდაცია N2. (2016-2017
წწ.)** საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ შესრულებული

რეკომენდაცია N3. (2017 წ.):
სსიპ – სახელმწიფო ქონების
ეროვნულ სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოიძიოს ინფორმაცია დეპოზიტზე არსებულ უძრავ თანხებთან დაკავშირებით და განხორციელოს აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ღონისძიებები.

მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის მხრიდან დაიწყო ინვენტარიზაციის პროცესი ბალანსზე რიცხული ქონების აღსაწერად, აუდიტის პერიოდში 2017 წლის ინვენტარიზაცია არ იყო დასრულებული.

შესრულების მდგომარეობა:
შეუსრულებული

რეკომენდაცია N4. (2017 წ.):
სსიპ-ს – „აწარმოე
საქართველოში“

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საჭიროა კონტრაქტორების მიერ სრულყოფილად იქნას მოწოდებული ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები,

ხოლო სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“, თავის მხრივ, განახორციელოს კონტრაქტორი კომპანიების მიერ მოწოდებულ ანგარიშებში არსებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა, სისრულისა და სისწორის დადგენა (მათ შორის, პრობლემური ბენეფიციარის შესახებ), რის შემდეგაც გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ საჭიროა დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N5. (2016-2017 წწ.):

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას და სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს

2017 წლის რეკომენდაცია

იმისათვის, რომ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას და სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, აუცილებელია, ინვენტარიზაცია ჩატარდეს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების რეალიზაცია.

2016 წლის რეკომენდაცია

იმისათვის, რომ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – ბათუმის საზღვაო აკადემიას და სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, აუცილებელია, ინვენტარიზაცია ჩატარდეს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ინვენტარიზაციის შედეგებისა და ბუღალტრული მონაცემების ურთიერთშედარება.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

ზემოაღნიშნული ორგანიზაციებიდან 2018 წელს ინვენტარიზაცია ჩატარა სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ და სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ, თუმცა ინვენტარიზაცია ჩატარებულია ინვენტარიზაციის წესთან შეუსაბამო დარღვევებით.

რეკომენდაცია N6. (2017 წ.):

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოახდინოს ისეთი არამატერიალური აქტივების რეკლასიფიკაცია, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ინსტრუქციით მოთხოვნილ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ასევე დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი ტიპის შეუსაბამობის პრევენციას, აქტივების აღრიცხვისა და ცვეთის დარიცხვის პრაქტიკის შესაბამისობას ინსტრუქციის მოთხოვნებთან.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N7. (2016-2017 წწ.):

სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და სსიპ – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს

2017 წლის რეკომენდაცია

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების და ბუღალტრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით მიზანშეწონილია, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და აკრედიტაციის ცენტრის ხელმძღვანელობამ დაანერგოს, ხოლო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ და ქონების ეროვნულმა სააგენტომ სრულყოფილად აწარმოოს ფინანსური აღრიცხვა სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით.

2016 წლის რეკომენდაცია

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის ხელმძღვანელობამ დაანერგოს სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ბუღალტერიის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ
შესრულებული

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და ქონების ეროვნული სააგენტო, 2018 წელს სრულყოფილად იყენებდნენ ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამას, სსიპ – აკრედიტაციის ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა დაანერგა სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, თუმცა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, ხოლო ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს არ დაუწერგავს.

რეკომენდაცია N8. (2017 წ.):

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესაძარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებითაც ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ჰიდროგრაფიის სამსახურს აქვს ოფიციალურად დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, თუმცა ის არასრულყოფილია.

რეკომენდაცია N9. (2017 წ.):

ეკონომიკის სამინისტროს აპარატს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, ეკონომიკის სამინისტროს აპარატმა მოიძიოს ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გაურკვეველ ნაშთთან (210,370 ლარი) დაკავშირებით და განახორციელოს აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ღონისძიებები, ასევე იმსჯელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ქმედებების საჭიროების შესახებ.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N10. (2017 წ.):
საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტროს

მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა სსიპ-ებმა ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 10%-ის ხარჯად აღიარებასთან დაკავშირებით დანერგონ საერთო და მართებული პრაქტიკა.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N11. (2017 წ.):
სსიპ – საქართველოს
სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს

სსიპ – საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ გააძლიეროს ინფორმაციული სისტემების დაცვა კიბერშეტევების პრევენციისათვის. მათ შორის, უზრუნველყოს ეფექტიანი კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
ასევე, დანერგოს ორგანიზაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის/საინფორმაციო სისტემების სარეზერვო ასლების შენახვის პრაქტიკა.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38